ქალაქ თბილისის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №27

15 მარტი, 2019 თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
12:00 საათი

<u>**სხდომას ესწრებოდნენ:**</u>

1. თედო ისაკაძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. მიხეილ ამაშუკელი - კომისიის წევრი;
3. შალვა ოგბაიძე - კომისიის წევრი;
4. დავით უჯმაჯურიძე - კომისიის წევრი;
5. გიორგი ახვლედიანი - კომისიის წევრი;
6. დავით რურუა - კომისიის წევრი;
7. ილია ჯიშკარიანი - კომისიის წევრი;
8. ირაკლი ნადირაძე - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

- „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-031906554-03; 06.03.2019).

სხდომას თავმჯდომარეობდა - თედო ისაკაძე.

სხდომა წარიმართა ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის, გარემოს დაცვის, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის, სარევიზიო, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიებთან ერთად.

მომხსენებელი:

- **მაია ბითაძე** - თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე;
- **ალექსანდრე ტოგონიძე** - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი;
- **მერაბ ბოლქვაძე** - ააიპ „სითი ინსტიტუტი საქართველო“.

სხდომის თავმჯდომარემ გახსნა სხდომა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

მ. ბითაძე - რამდენიმე დღის წინ კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე ჩვენ განვიხილეთ დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა, რომელიც დღეს უნდა დავამტკიცოთ საკრებულოს სხდომაზე.

სულ მალე დედაქალაქს ექნება ახალი თემატური რუკა, სადაც დატანილი იქნება თითქმის ყველაფერი. თბილისში ჯერ კიდევ გვაქვს ტერიტორიები, სადაც სწორი განვითარების გზით შესაძლებელია ქალაქისთვის სასურველი შედეგის მიღება.

არ გამოვრიცხავ წარმოდგენილ დოკუმენტში იყოს ცდომილებები, ეს ნორმალური პროცესია, შეცდომების გამოსწორება ყოველთვის შესაძლებელია. ასევე არ გამოვრიცხავ დარჩეს განსახილველი საკითხები, რომლებიც გადახედვას მოითხოვს.

წარმოდგენილია რამდენიმე უზუსტობა, რომელიც მუშაობის დროს დავუშვით და უკვე გამოსწორებულია.

გენერალური გეგმა არის სამართლებრივი დოკუმენტი და მასში ცვლილებების შეტანა რათქმაუნდა შესაძლებელია.

თ. ისაკაძე - სატრანსპორტო საკითხთა კომისია მოხარულია მხარი დაუჭიროს დედაქალაქისთვის ყველაზე მნიშვნელოვან დოკუმენტს. კომპანია ,,სისტრას" და აზიის განვითარების ბანკის ექპერტები ინტენსიურად მუშაობდნენ და დღემდე მუშაობენ ტრანსპორტის მიმართულებით მთავარ დოკუმენტზე, რომელიც ასახული იქნება გენერალურ გეგმაში. უახლოეს პერიოდში გვექნება მოსმენა/პრეზენტაცია თუ რა სამუშაო გასწიეს ზ/ა კომპანიებმა და მოხარული ვიქნებით თუ მის განხილვაში ჩაერთვება ყველა დაინტერესებული მხარე.

მ. ბოლქვაძე - დედაქალაქის მერიამ და საკრებულომ სწრაფი რეაგირება მოახდინეს იმ შენიშვნებზე რაც არსებობდა. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტი არის წინ გადადგმული ნაბიჯი და საჭიროებს უპირობო მხარდაჭერას. უამრავი წერილი, მიმართვა და კონსულტაცია იქნა გათვალისწინებული. მნიშვნელოვანია, რომ გენერალური გეგმის დამტკიცების შემდგომ ყველამ ერთად უნდა ვიმუშაოთ მის განხორციელებაზე.

საკრებულოს დეპუტატებმა და მოწვეულმა ექპერტებმა გამოთქვეს საკუთარი შეხედულებები წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა, დასასრულს სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი (მომხრე - **7;** თავი შეიკავა - **0,** წინააღმდეგი - **1**). ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტეს:

- ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილების პროექტის (12-031906554-03; 06.03.2019) განხილულ იქნეს თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თედო ისაკაძე